1920/2
ეროვნული ბიბლიოთეკა


# თეატრი და ცხოვრება

№ 8 ფასი 10 მანეთი

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას თავისუფალ საქართველოში!
გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

„თეატრი და ცხოვრება“

წლიურად 100 მან., ნახევარი წლით 60 მან. თითო ნომერი—10 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქუჩა № 20 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ; ფოსტით: თბილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს. ტელეფონი № 4—73.

დაარსების წელიწადი მეათე, გამოცემის მერვე

სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ. | კვირა, თებერვლის 29 | გამოცემა 1920 წ.


## გორის საზარელი რისხვა მთელი საქართველოს უბედურებაა!

## მოქალაქენო! დაეხმარეთ გაუბედურებულთ, ვისაც რით შეგიძლიანთ!..



მგოსანი გალაქტიონ ტაბიძე
მისი საღამოს გამო სახელმწ. თეატრში ოთხშაბათს

(იხ. ამავე ნომერში „თეთრი მეფე“)

სახელოვნო—სათეატრო—სალიტერატურო სურათებიანი ჟურნალი
# „თეატრი და ცხოვრება“

დაარსებულია 1910 წ. გამოდის ყოველ კვირა, თითო № 10 მ. წლიურად ჯერჯერობით 100 მანათი, (შეიძლება ფასი მოემატოს). ხელის მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაში (ბაზრის ქ., ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, სახლი არჯევანიძისა, № 20)

(ჟურნალის საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლად მიიღება შემოწირულებაც).

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

## სადღეისო

### თეატრის ხარკი

ჩვეულებრივი ქართველური სენი—ბევრი ლაპარაკი და ცოტა საქმე, ერთის თქმა და მეორის ქმნა,—დღესაც არ მოგვშორებია.

ამ მხრივ ყველაზე სავალალო მდგომარეობაშია ჩვენი ხელოვნების თითქმის ყველა დარგი.

არამც თუ ამ ხელოვნების ნიჭიერნი მიმდევარნი ვერ იკაფავენ გზას, თვით დამსახურებულნიც-კი ჯერ კიდევ საცოდაობით აღოღიალებენ თვისთა დღეთა სიცოცხლისათა.

აიღეთ მუსიკოსნი, მსახიობნი, მწერალნი და სხ.

მაგრამ კიდევ უფრო სავალალო ის არის, რომ ხელოვნების ერთი უმშვენიერესი დარგი დღესაც გარდასახდთა მძიმე უღელ-ქვეშ იზნიქება. საქალაქო თუ სხვა გადასახადებმა ლამის არის სული ამოჰხუთოს დრამას და მის ქურუმს.

როდემდის, როდემდის გაგრძელდება ეს და ნუ თუ არ მოისპობა?!

### ფოთის თეატრი

უფრო სავალალო მდგომარეობაშია პროვინციის „თეატრი“.

აქ არა თუ რიგიანი ხელოვანი სულის მობრუნებას ვერ ახერხებს, თვით ეს სულის მოსაბრუნებელიც არსადა სჩანს; ეს ვერ მოხერხებულა ისეთ ადგილშიც კი, სადაც შესაძლებელია.

აიღეთ ფოთი. ეს ზღვის პირის ქალაქია, ევროპიელთ პირველი საფეხური საქართველოში და სამეგრელოს ენა და სარკე. მოგეხსენებათ აქ არის ნავთსადგური, სხვა და სხვა საჭირო დაწესებულებანი, სავაჭროები, ელექტრო, ჩაკჩაკა ცხენიანი ტრამვაი, ელექტრო წისქვილი, ყინვის მანქანა, დაუწყვიათ დიდი, უზარ-მაზარი ტაძრის აგებაც-კი, და მიუხედავად ყველა ამისა, აქ ჯერაც არ მოიპოვება სათეატრო დარბაზი. არსებული ვითომდა „თეატრი“ კერძო პირთ ეკუთვნის, კერძო პირსვე გაუღია სინემატოგრაფი, და ქალაქის საბჭოს მეცადინეობით შაბათობით თუ უთმობენ ქართულ სცენის მოყვარეთა წრეს, მასაც ღამეში 1000 მან. მაგრამ რაი: არც სითბო, არც საპირფარეშოები, არც... ერთი სიტყვით არა—რა: სცენის მუშაკთ-კი სცენაზე სიცივე ჰყინავს, ხოლო პარტერიდან ხალხის გულცრობა, რადგან ეს ხალხი ჯერ ერთი სიცივის გამო არ დაიარება, მეორეც არც თუ ისე ეტანება.

ქალაქიც ცოტათი ეხმარება, მაგრამ საქმე კიდევ ისე არ არის, როგორც სასურველია.

საჭიროა, ვიდრე ქალაქი საკუთარ სახალხო სახლის აშენებას შეიძლებდეს, ახლავე შეუდგეს არსებულ თეატრის იძულებით გამოსყიდვა-შეკეთებას და იქ ნამდვილ ხელოვნების ტაძრის მოთავსებას. მით უმეტეს რომ საამისო ნიჭიერი ქალ-ვაჟნი აქ მოიპოვებიან და დამსახურებულნიც ახლავან: აქ არიან კირ. მაჭარაძე, ნ. გვარაძე, სტ. ხარაზიშვილი, აქვეა ძუკუ ლოლუა და სხ. საერთოდ ფოთი შეიძლება ხელოვნების ბუდედ შეიქმნეს, მხოლოდ საჭიროა ფოთელთა მეტი საქმიანობა.

მთავრობამაც თავის მხრით უნდა ფართე დახმარება აღმოუჩინოს ფოთის დრამ. საზ. და აგრეთვე ხელი შეუწყოს ყველა ორგანიზაციამ.

### ბათომისკენ, ბათომისკენ!

აი ერთადერთი სიტყვა, რომელიც ყოველ ქართველს პირზე უნდა ეკეროს, გულში ედოს და მთელის თვისის არსებით ანხორციელებდეს.

დროა ქართველმა მეომარმა ჩამოირეცხოს ის სირცხვილი ორის წლის წინად რომ მოეცხო! დროა მთელი ქართველი ერი ალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ა. ი. ინაშვილი**

საოპერო ნიჭიერი მსახიობ-მომღერალი. მისი ბენეფისი მარტის 2 გაიმართება სახელმწიფო თეატრში

სდგეს, რომ ეს ჩვენი ნაინატრი საუნჯე, ჩვენი უძველესი ძმებით დედა-სამშობლო საქართველოს გულს ჩაეხუტოს.

ამისათვის არ უნდა დავიშუროთ არც ქონება, არც სიცოცხლე!

უბათუმოდ ქვეყანა ჩვენი კარდახშული და ფანჯარა ღია იქნება, საიდგანაც მარადის ავი ქარი იქროლებს.

მაშ ჩქარა ბათომისკენ!

**გორის უბედურება**

საზარელმა ვეშაპმა დააღო პირი უდანაშაულოთა ჩასაყლაპავად.

ქართლის შუა გული გორი და მისი ახლო-მახლო სოფლები მიწის ძვრამ იმსხვერპლა.

ამაზე საზარლობა არა რა მინახავს.

აღწერა მისი შეუძლებელია: უნდა საკუთარი თვალით ანახოთ, რომ შეიგნოთ რა საზარლობა გვეწვია.

და ეს იმ დროს, როცა ჩვენი ქვეყანა ისედაც გაჭირვებულია და მრავალი საზრუნავი აქვს, როდესაც მტერი კარს მოგვდგომია.

მიუხედავად ამისა, სულით არ უნდა დავეცეთ, რწმენა განვიმტკიცოთ... არ დავივიწყოთ, რომ ჩვენ იმ დიდის ხელოვნის სულიერი ძენი ვართ, რომელმაც გვიანდერძა:

„ჭირსა შიგან გამაგრება
ისე უნდა, ვით ქვითკირსაო“!

ასეთი ჭირი ბევრჯერ დაგვიძლევია და ახლაც დავძლევთ. დაე, თითოეულმა ჩვენგანმა გავინახევროთ ლუკმა და ამ დაზარალებულ ხალხს დავეხმაროთ.

ჩვენის რესპუბლიკის ხალხურმა მთავრობამ ღირსეულად მოიხადა ვალი თვისი და ფხიზლად ამუშავდა... ახლა საჭიროა მთელი ხალხიც ჩაებას ამ ფერხულში...

აი ჩვენი სადღეისო ვალი!...

**იოსებ იმედაშვილი**

# და გული დაგული...

წამება, წამება, დავშორდი სიხარულს,
აღარ მაქვს ამება, ვეძლევი სინანულს...
სად არი, სადარი დილის ცის ციალის?
ვერ გავხდი მე ღირსი იმისი ტრფიალის...

გრიალებს, წრიალებს გულს სევდა ნაოსი,
ვით გველი სრიალებს შავ ფიქრთა ქაოსი.
ვერ ვნახე, ვერ ვახე ხელი მის დალალებს,
და გული დაგული ვალალებს... ვალალებს!..

**ბ. პელაშვილი**

# თ ე თ რ ი  მ ე ფ ე

**გალაქტიონ ტაბიძე**

ხანგრძლივ ნაზამთრი ახალგაზაფხულს შესწრებიხართ თუ არა მთის მწვერვალზე მზის პირველ სხივებს,—აი გალაქტიონ ტაბიძის პოეზიის ელვარება და პირველი სალამი: გინახავთ თუ არა კამკამა, უმწიკვლო ქაფი, ან ბუჩქის ძირას ახლად ამოტყორცნილი ია, ახალ გაფურჩქნილი ვარდი, ყნოსვას რომ უმანკო სურნელებით გიტკბობთ, აი გალაქტიონის შემოქმედების შინაგანი ძალა; წყნარ მზიან ამინდში, დილით, გაგივლიათ შავ ზღვაზე და ჩაგიხედნიათ თუ არა მის კამკამა გულში, ან კიდეებში, ხავსით მოსილ ტინთა შორის ჩაისრებული მზის სხივი თვალის მომჭრელ მრავალ ფერადოვნებას რომ წარმოგიდგენთ, მთელი სიმდიდრე უძირო ზღვისა რომ ჯადოსნურად გეჩვენებათ, უმაღლეს განცდით რომ გატკბობთ და ვერ კი აგიხსნიათ, რა გრძნობაა. აი სწორედ ასეთია გალაქტიონის სამგოსნო ძალა.

გალაქტიონი ჯერ კიდევ საუკეთესო ყურძნის წვენისებურ დუღილშია, მას თავისი საბოლოო სიტყვა არ უთქვამს, და რა თქმა უნდა, ჯერ ვერც კრიტიკა იტყვის შეუმცდარს.

გალაქტიონ ტაბიძემ ათის წლის წინად ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ ში აიდგა სამგოსნო ფეხი და დღეს, ათის წლის თავზე, უკვე სახელ-მოხვეჭილი მგოსანია, რომლის ქიშპობაც არც თუ აგრე ადვილია. ჩვენ გვეგულება მისი ერთი მოცილე მგოსანიც, ქიზიყის კალთებში რომ ნებივრობს.

ოთხშაბათს სახელმწიფო თეატრში იმართება მისი საღამო. და თუმც ამ საღამოს მძიმე ამინდი დაუდგა, მაინც გვგონია, სილამაზის, უმაღლეს განცდის და მშვენიერების თაყვანის მცემელნი უყურადღებოდ არ დასტოვებენ ამ საღამოს.

გულითადი სალამი ჩვენის გრძნობათა თეთრ მეფეს — გალაქტიონ ტაბიძეს!

**იოსებ არიმათიელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ვანო სარაჯიშვილი**
(ნ ა დ ი რ ი)

# Mens Immortalis

ჩემი სული დიდი ხანია რაც გაჩნდა მდინარესავით დაუსრულებელ და მიმდინარე სამყაროში...

თვით არ მახსოვს როდის გაჩნდა იგი...

ჯერ ქვეყნად ოვიდიის სამეფოც არ არსებობდა რძიან მდინარეებით,—ჩემი სული სცოცხლობდა და დაფარფატებდა ყველგან...

იგი მოესწრო რემის სიკვდილს და ცეზართან ერთად მონაწილეობდა გალთა წინააღმდეგ; კიროსის მქუხარე ხმა აშინებდა მას და აზიის ძვირფას ფარჩა-ხალიჩებით მორთულ ჰარამხანებში გაიღვივა ვნების სურვილები; იგი მოწამე იყო საბერძნეთის ღმერთების დამსხვრევისა და ნაზარეველის ჯვარცმისა; ეგვიპტის ფარაონებს დაადგა მაღალი პირამიდები და თამარის ქორწილში დაითრო ღვინის ფერ ყანწებით...

სხეული კი ამ ოცდა ოთხი ზაფხულის წინ შეისხა, რადგან მოსწყინდა ამდენი ხნის სიცოცხლე...

წინად თუ უცვლელი იყო და დაუსრულებელი, დღეს სხეულთან ერთად ყოველ ზაფხულს ჰბერდება და ითვლის დასასრულის წუთებს...

მისი სინანული გვიანია...

სხეულივით ისიც გაჰქრება სამუდამოდ და მომავალ დროთა მესაიდუმლედ ველარ შეიქმნება...

ახ, სულო, სულო! რად შეუერთდი მუხანათ სხეულს?!.

**არჩილ მაჭავარიანი**

# შენიშვნები ხელოვნებაზე

## 1. მობრძანდით!

ბალშევიკების ფირმის ბიუროკრატებმა რუსეთში ხელოვნება თავის დემაგოგიის განსახორციელებელ ორგანოდ გადააქციეს.

ბევრმა არ მოისურვა წაბილწულ ხელოვნების ტაძარში სამსახური და გამოეშურა მშვიდობიან საქართველოსკენ.

მრავალნი უკვე ჩამოვიდნენ თბილისში და გადასახლების შიშით მალულად ცხოვრობენ. როგორც მიჯნურთა გაშორება უნაყოფოა, ისე ქართველის ხელოვნებისგან. ქართველი—ბუნებით ხელოვანია და ხელოვანთა ფასიც იცის.

ამიტომაც გვეტანე¹იან უცხონი...

კეთილი იყოს მათი სტუმრობა,—ოღონდ მხოლოდ ხელოვნებით განისაზღვრებოდეს მათი მობრძანება...

## 2. ტერორი ხელოვნებაზე

იმ დროს, როდესაც ბალშევიკ—ბიუროკრატების კომისრები პრიმა-ბალერინების ლამაზ სხეულთ დაფნის გვირგვინით ამკობენ, ხელოვანთ, რომელთაც აღმოაჩნდებათ ხოლმე საკუთარი მოქალაქეობრივი რწმენა, ხვრეტავენ. მრავალრიცხოვან დახოცილ ხელოვანთ მიემატა კიდევ ორი მსხვერპლი: რუსეთის გამოჩენილი დრამის მსახიობი ვიქტორ პეტიპა და ცნობილი მომღერალი ანდრეევი, ბოლო მოსულ ცნობით ბალშევიკებს დაუხვრეტიათ.

ჩვენშიაც იყვნენ ხელოვანნი, რომელნიც არა თუ არ იზიარებდნენ ჩვენი დამოუკიდებლობის იდეას, არამედ პირშიაც კი გვლანძღავდნენ.

მაგრამ ჩვენ მათთვის თოფი არ მიგვიშვერია, არამედ დინჯად ნავით გავისტუმრეთ ოდესისკენ.

უყურადღებოდ დასა( ოვებელი არ არის ბალშევიკების ტერორი ხელოვნებაზე! ზიზღი, რომელნიც თავის სისხლში სვრიან მელპომენის ტაძარს და მის ქურუმთ.

## 3. პროლეტარების ხელოვანი?

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრ:ბა“-ში პატივცემელი ამხ. პ. კეკელია სწერს კრიტიკულ წერილებს ქართულ პოეზიის შესახებ.

ერთ წერილში იგი ლიტერატურულ მიმართულებებს ახარისხებს: ლიტერატურას ჰყოფს ბურჟუაზიულ, პროლეტარულ და სხ.

ბევრი ვეძებთ ევროპიულ, ქართულ და სხ. ლიტერატურაში, რომ პროლეტარულ მიმართულების ნიმუშის მსგავსს შევხვედრიყავით; წავიკითხეთ ლუნაჩარსკიც, მაგრამ უკანასკნელი მარტო სკეპტიკურ მოლოდინში, რომ მსგავსი რამ შეიქმნეს.

არის ნაწარმოები (მ. გორკი, კუპრინ და სხ.) სადაც ავტორნი შინაარსს იღებენ პროლეტართა ცხოვრებიდან, მაგრამ ეგ ხომ მიმართულებას არ ნიშნავს!

ხელოვნება უპირველეს ყოვლისა ზეპარტიულია, ზეკლასიური და არავითარი კავშირი არ აქვს ამა თუ იმ კლასთან. ეგ სულ სხვაა, რომელი კლასი როგორ იმსახურებს და რა იიზნისთვის,—იგი თავისი საბოლოო დანიშნულებას მაინც არ ჰკარგავს, თუ წმინდა ხელოვნებაა.

**ქართლ-იმერელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანნა დავიდოვი
საოპერო დრამატიული მსახიობქალი

# რაბინდრანათ თაგორადან

ნუ, ნუ მიმალავ მეგობარო გულის საიდუმლოს.. გამიმხილე ყოველივე... მე, მხოლოთ მე მითხარი შენი გულის ნადები... მორცხვათ მეღიმები შენ... მეგობარო, ნუ მიმალავ ნურაფერს... ნელის ხმით წამჩურჩულე საიდუმლო შენი გულისა... ჩემი გული მაინც იგრძნობს... მაინც გაიგებს ყოველივეს...

———

ბნელი ღამეა... სამარისებური სიჩუმე მეფობს ირგვლივ... მეგობარო, ცრემლ-მორეული თვალებით, მითხარი... მოკრძალების ტკბილ წუთებში წამჩურჩულე საიდუმლო შენი გულისა.

ნუ, ნუ მიდიხარ საყვარელო... ჯერ ხომ არ გითქვამს ჩემთვის—„მშვიდობით!“ მე მთელი ღამე უძილოთ გავატარე... მითვლემილ თვალებს ქურდულათ მიხუჭავს ძილი... მშვენიერო, მეშინია რომ ძილის დროს დაგკარგო... ნუ, ნუ მიდიხარ საყვარელო... ჯერ ხომ არ გითქვამს ჩემთვის—„მშვიდობით!..“ მსწრაფლ ვერკვევი... აქა-იქ ვაფათურებ ხელებს... მე მინდა მოგნახო... მე მინდა შეგეხო... ნუ თუ ეს სიზმარია!—გავიძახი გზა აბნეული... ოჰ, რომ შემეძლოს სიყვარულის ძაფებით შევკრავდი შენს ლამაზ ფეხებს და ჩემს გულზე მივჯაჭვავდი... ნუ, მიდიხარ საყვარელო... ჯერ ხომ არ გითქვამს ჩემთვის—„მშვიდობით!..“

———

მშვენიერო, შეამკობ თუ არა ჩემს კისერს ახალგაზრდა ყვავილების რგოლებით?.. შენ უნდა იცოდე, რომ ჩემგან დაწნული ყვავილები ყველას ეკუთვნის... ის გამზადებულია მათთვის, რომელთაც წუთიერათ ხედავ... რომლებიც მხოლოთ უჩინარ ქვეყნებში ცხოვრობენ... რომლებიც სცოცხლობენ პოეტების მშვენიერ ლექსებში... ეხლა უკვე გვიანია ჩემი გული ითხოვო... იყო დრო როცა ჩემი ცხოვრება ოდნავათ გაშლილ ყვავილს მოგაგონებდა... საამო სურნელება საკმაოთ იყო გაბნეული მის გულში... ეხლა კი გაფანტულია ის ყველგან... რომელი ჯადო ჯარი შეჰკრებს მათ და ისევ ძველ ადგილს მიუჩენს? ვინ, ვინ იქნება ისეთი?.. ჩემი გული არ არის, რომ შემეძლოს ერთს მივსცე იგი... ის ეხლა უკვე ყველასია...

———

შენ თუ გსურს, მე არ ვიმღერებ... სახეზეც არ შემოგხედავ, თუ ჩემი თვალები მოსვენებას არ გაძლევენ... შენს ახლოც არ ჩამოვივლი თუ ჩემი დანახვა გაღელვებს... თუ ყვავილების დაწვნას მიშლი,—მოშორებით ვივლი მდუმარე ბაღიდან...

თუ მყუდროებას გირღვევს ჩემი ნავი ისიც მითხარი... მე ერთხელაც არ გავატარებ მას შენს ნაპირებთან...

ლ. ძიძიგური

# ლამაზი ტყუილი

...დღიურ სიცხადეს მისტიური სიბნელე სცვლიდა...
ფირუზის ფსკერი ბრილიანტის ვარსკვლავებს სცრიდა...
მწველ ბაგეებზედ ინთებოდა ლოცვები წმინდა,
გიშრის თვალები სიყვარულის ნაზ ცრემლებს ყრიდა...

ვეტრფოდით ურთერთს სიყვარულის ვქსოვდითვარდ სამოსს,
ვფიცავდით ტრფობას საუკუნო სამარადჟამოსს...
ვსდებდით ფიცს წმინდას, რომ სიცოცხლე გაგვთავებოდა,
სანამდის ტრფობის ყვავილები დაგვიჭკნებოდა...

გვსურდა ეხილა უკვდავების მზე ჩვენს სურვილებს,
და ჩვენ კი, თურმე, ვთხზავდით მხოლოდ ლამაზ ტყუილებს.

დ. დოლიძე

# იის საიდუმლო

იას ვკითხე, თავ-ჩაღუნულს:
—ია რად ხარ მოწყენილი?
მორცხვობ, თითქოს ვინმე იყოს
შენზე კარგი, მოხდენილი!
ასწი თავი, გადახედე,
როგორ იჯერს ჩიტი პეპლებს...
დახე, დახე როგორ სცდილობს,
რომ გაექცეს, ხმარობს ხერხებს.“
—კიდეც მაგან დამალონა,
რომ ძლიერი უძლურს ეძებს;
სჯობს მესმოდეს,—არ ვუცქერდე,
რადგან გული ველარ უძლებს!..

ჩამოჩენილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ალექსანდრე ციციშვილის სამარე ძეგლით**

იაკუტსკის ცივ ქვეყანაში (შორეულ ციმბირში). ალ. ციციშვილი მონაწილე იყო მეფე ალექსანდრე II-ის მკვლელობაში, დ. როსტომაშვილმა, გ. კობიძემ და თ. სიხარულოვმა ეს სამარე ძეგლითურ იპოვეს ობლად მიგდებული დაბურულ ტყეში და ისევე აღადგინეს. ძეგლს ერთს მხარეზე რუსულად ასეთი წარწერა აქვს: „Князь Александръ Циціановъ умеръ 1885 г. Отъ товарищей“

(სურათი გადაღებულია საგანგებოდ „თეატრი და ცხოვრება“-სთვის)

# მწერალთა ყრილობისთვის

ამ ახლო ხომავალში მუშაობას დაიწყებს მწერალთა კავშირის ყრილობა. ღმერთმა ჰქმნას და ორი გადაუდებელი საკითხი მაინც გადაეწყვეტინოს და მოეგვარებინოს: ქართველ მწერლების ნივთიერი ცოტა თუ ბევრად უზრუნველყოფა და სალიტერატურო ჟურნალის სისტემატიური გამოცემა.

მართალია ერთი რიგი პოეტ-მწერლების „კატელოკებით“ დასეირნობს და ქიმერიონ—კაფე დარბაზის რესტორანებში სადილებს მიირთმევს, სამაგიეროდ უმრავლესობა უმწეო-ნივთიერ გაჭირვებას განიცდის, რამაც უკვე ბევრი აიძულა კალმოსნობაზე ხელი აეღო.

იაფ-ფასიანი სასადილო, შრომის ბირჟა, მომხმარებელი კასა და სხ. აი გამოსავალი. რაც შეეხება ჟურნალის გამოცემას, ყრილობამ უნდა გამონახოს სახსრის გზები. რაც შეეხება სარედაქციო კოლეგიას, იგი უნდა შესდგეს არა პოეტ-ბელეტრისტების, არამედ კრიტიკოს-ჟურნალისტებისგან, რომ საჟურნალო მასალების შერჩევა ცალმხრივი არ იყოს, არამედ ცოტად თუ ბევრად ობიექტიური. მაშინ იქნება ჟურნალმა შესძლოს ხანგრძლივი სიცოცხლე.

**საწერელი**

# გორის კატასტროფა

ქართლის გულის სიღრმეს—მშვენიერ გორს შავი მანტია გადაეფარა.

დინჯი, შრომის მოყვარე გორელები დღეს მძაფრი სტიქიის სრბოლით აცრემლებულნი, სასოწარკვეთილნი ბედს სწყევლიან.

საშინელი ხვედრია. იმ დროს, როცა ჩვენი ერის ციტადელის ბათომის ბედი უნდა გადაწყდეს, ამ დროს აქ, თითქოს, ბუნების სტიქია შეუერთდა შავ ძალას.

ორი მტერი ჩვენს ერს თავს დაესხა. ვინ უწყს რამდენი რელიგიოზური ფანატიკოსის მსგავსად ხელს მაიქნევდა და იტყოდა:

—რომელ ერთს უნდა გაუმკლავდეთ!

მაგრამ არა! აცრემლებულსა და უსახლ-კარო გორელებს ჩვენი ხალხი ასე არ შეხვდება.

ჩვენმა დემოკრატიამ კარგიდ იცის „ჭირსა შიგან გამაგრება“.—

ის ბრძნულად და შინაარსიანად იტყვის:

„კარგი რამ გჭირდეს—გიკვირდეს,

ავი რა საკვირველია!“

და არავითარ საშინელ შემთხვევას ჩვენი ხალხი არ შეუშინდება.

ჩვენი შეგნებული დემოკრ., როგორც ლეგენდარული გრძნეული, რასაც ხელს ახლებს, ყველაფერს ოქროთ აქცევს.

და თუ დღეს გორის მშვენიერი მიდამოები ნანგრევებათ არის ქცეული, სწორეთ ამ ნანგრევებზე აშენდება ახალი გორი.

თუ ჩვენი ერის ერთ კუნჭულიდან თავზარდაცემული ხალხი გამორბის, მას გულში ჩაიკრავს ჩვენი ქვეყნის სხვა მხარეები.

იმედ-დაკარგულთ, სასო-მიხდილთ ნუგეშს მივსცემთ, ალერსიანი ძმური მშობლიური სიყვარულით ცრემლებს მოვწმენდთ.

და ასე მათ სევდას გავიზიარებთ მათ ჭირს ჩვენს ჭირათ ვიცნობთ.

გამონალებ წვლილით მათ ქონებრივად გავამაგრებთ.

ყველა თავის ლუკმას გაუყოფს, უსახლ-კაროთ თავშესაფარს მისცემს.

და ასე ამ უდიდეს ეროვნულ ტრაგედიას გაუმკლავდებით.

ალბად ჩვენი განახლება-განმტკიცება ტანჯვით უნ და წარმოშობილიყო.

და ჩვენ აქაც ძლიერი ვიქნებით: ტანჯვა ხომ შემოქმედების მაწრთობელი ცეცხლია.

დაე, ეს ცეცხლი ათას-გვარ სტიქიად მოგვევლინოს, ჩვენ მაინც ურყევი და უდრეკი ვიქნებით.

ფერფლიდანაც კი ყოფნის სარბიელს შევქმნით.

უკეთეს მერმისის იმედი ჩვენი სულის კანდელია, ჩვენი ბრძოლა მისი მიღწევის თავდებია.

და ფერფლად თუ იქცა გორი, მისგან წარმოიშობა განახლებული და მშვენიერი.

ამასთანავე, თუ ამ უბედურებით მოხითხითე შავი აჩრდილები იხარიან, საბედისწეროთ სცდებიან!

მათ ჩვენი შეიარაღებული დემოკრატია ერთის ხელით გულს გაუგმირავს, ხოლო მეორით ერის ალმაშენებლობას აწარმოებს...

**კ. გერგესელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მსახიობი სტეფანე ხარაზიშვილი

(სასცენო მოღვაწეობის 30 წლის შესრულების გამო).

არიან ისეთი ხელოვანი--მუშაკნი, რომელთა საქმიანობას კაშკაშა ელვარება არ ჰმოსავს, მაგრამ მათი მოღვაწეობა ქვეყნის მარილია.

ერთი ასეთი ხელოვან-მსახიობთაგანია სტეფანე ხარაზიშვილი, რომლის სასცენო მოღვაწეობა უმთავრესად დასავლეთ საქართველოში მიმდინარეობდა და მიმდინარეობს.

პირველად სცენაზე გამოვიდა 1888 წ. ბათომში, სადაც იგი მსახურობდა. საზოგადოებას იმდენად მოეწონა, რომ ურჩიეს, სამსახურს თავი დაანებე და სცენის სამსახურს შეუდექიო. სტეფანემაც ისმინა ხმა ერისა და მას შემდეგ თავი შეჰყო მელპომენის ტაძარში: ბათომის, სოხუმის, ქუთაისის, ფოთის და სხ. სცენებზე გააჩაღა მუშაობა. 1891-92 წლებში ბათომის თეატრის ანტრეპრიზაც კი ჰქონდა, საკუთარ დისს გარდა თბილისიდან მსახიობთაც იწვევდა. 1893 წ. ქუთაისს გაიწვიეს, მერე თბილისს მაგრამ ცხრაასიან წ-ში ისევე ბათომს გაიწვიეს ის. რამიშვილის თაოსნობით, სადაც მუშებისთვის წარმოდგენებს მართავდა და მდაბიო ხალხში ეროვნულ საზოგდოებრივი თვითცნობიერება შეჰქონდა. განსაკუთრებით კომიკია და ნაკისრ როლებს ნიჭიერადაც ასრულებს. ამ ჟამად მიწვეულია ფოთს ადგილობრივ დრამატიულ წრის მიერ და მსახიობობის გარდა იდეურ-პრაქტიკულადაც ცდილობს, ფოთს მალე ეღირსოს საკუთრი თეატრი.

ბათომისა და ფოთის დრამატიულ წრის თაოსნობით ამ მოკლე ხანში გაიმართება მისი 30 წ. მოღვაწეობის აღსანიშნავი საღამო-წარმოდგენა.

ვუსურვებთ მხნეობა-ჯანსაღობას იმ მშვენიერების ასპარეზზე, რომელსაც თავისი სიცოცხლის საუკეთესო ხანა შეალია. და ნუმც დარჩება საზოგადოებას უყურადღებოდ ღვაწლი მისი!

სალამი და გამარჯვება პროვინციის სცენის დაუღალავ მუშაკ-ხელოვანს სტეფანე ხარაზიშვილს! ი.—ელი.

# კარგი საქმე

ძვირფასია და საყვარელი თბილისი.

იგი დღეს ჭეშმარიტი დედაა თავისი მშობელი ერისა. იგი ასაზრდოებს ჩვენს ეროვნულ სულსა და სხეულს.

აქაა დაგროვილი მთელი ჩვენი ერის ნებისყოფა, აქ სცემს ჩვენი ეროვნული მაჯა, აქ სუფევს წმინდა აკვანი ჩვენი ახალი დემოკრატიული რესპუბლიკისა.

ამისათვისაა დღეს თბილისი ღირსი უფრო-[illegible] და წმინდა სიყვარულისა.

კვირა დღის 12 საათია შოთა რუსთაველის პროსპექტზე გავედი ის არის ახლად ჩასული ქუთაისიდან. ლამაზი და ფართო პროსპექტი მთლად აფერდებულია ქართველი ჯარის ნაწილებით ისმის ეროვნული მხიარული და ხალისიანი სიმღერები.

სუფთად, ლამაზად, სადღესასწაულოდ გამოწყობილნი სახელმწიფო თეატრის წინ იკრიბებიან.

ჯარის კაცებს სახე უბრწყინავთ, ყველას ემჩნევა სიამოვნება-კმაყოფილება!..

რიგ რიგად, მწყობრად ლამაზი ტალღის მსგავსად იწყო დენა ჯარმა თეატრში. აქ, თურმე, მათთვის იდგმებოდა ქართული ოპერა: „ქეთო და კოტე“!

ამ სანახაობამ მე ძ-იერ აღმაფრთოვანა.

მე მიხაროდა რომ ჯარის კაცებს, საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდამ შეკრებილ ახალგაზდობას, რომლის შეიძლება დიდს უმრავლესობას წარმოდგენაც კი არა აქვს სერიოზულ თეატრზე, დღეს მას თვალით იხილავს, დასტკბება და გაიხარებს!..

მიხაროდა რომ ხელოვნების ტაძარი რომელიც გუშინ ამგვარ „ცოდვილთათვის“ ისეთივე დახშული იყო როგორც ბოროტისათვის სამოთხის კარი—დღეს ფართოდ იყო გაღებული, რომ სინათლე და თვითცნობიერება მოეფინა სწორედ მათთვის, ვინც ამას ყველაზედ მეტად საჭიროებს...

რესპუბლიკის მთავრობას რასაკვირველია, არ შეუძლია უდიდესი ყურადღება არ მიაქციოს როგორც ხელოვნების აყვავებას ისე მას, რომ იგი გახადოს ხალხის, მასსის სულიერ მოთხოვნილების საგნად...

ნაბიჯი უკვე გადადგმულია, ჩვენ ვისურვებდით მხოლოდ მის განმტკიცებას და გაძლიერებას.

შაბათობით სახელმწიფო თეატრი მცირედ ფასებში დათმობილი აქვს მუშებს.

კვირა დღისით უფასოდ ჯარს.

ვისურვოთ, რომ ოპერასთან ერთად მალე შეგვძლებოდეს მათთვის მხატვრული და ძლიერი დრამის მიწოდებაც...

ეს არის კარგი და დიდი საქმე!..

ეს არის ხალხის ფსიქოლოგიურად აღზრდა, მისი ზნეობრივი და გონებრივი ამაღლება, ორივე-კი ხელს შეუწყობს იმ დიად მიზანს, რომელსაც აქვს დევიზად ახალი წესწყობილების დაცვა და განმტკიცება!..

ჯაფარ-ფაშა



ვასილ კამენსკი ცირკში
(ფუტურისტთა ლიდერი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გორის უბე




1) **მეჩუსტეების რიგი** ბაზარში და გორის ციხე. ქუჩაზე გავლა არ იქნება; 2) **ხითაროვის სახლები** სობოროს ქუჩაზე, ცალი კედელი სულ მოროღვეულ-ჩამოქცეულია; 3) **რკინის გზის ცენტრალიზაციის შენობა,** — ზემოთა სართული მთლად დანგრეულია, 4) მთელი შენობა გადმონგრეულია, ზოგიერთი კედელი სვეტებიღაა; 5) **ჩაწოლილ-ჩანგრეული შენობა;** 6) **რკინის გზის სადგური** უკანიდან გადაღებული.

## ყოფნის ზღაპარი

სულით ობოლი მარტოკა დიდხანს ვიდოდი ამ სოფლად,
ყოფნის ზღაპრების იდუმალ აზრების გამოსაცნობლად;
დიდხანს ვეძიე ცხოვრების აზრი და დანიშნულება,
რომ განმეჭვრიტა ყოველმხრივ მისი ავლა და დიდება!

მაგრამ ვერ ვპოვე ამ ახსნით მალამო მრავალ წყლულისა,
ყველგან მეუფებს უხეში, სიცალიერე სულისა,
გაუტანლობა შხამს აფრქვევს, კარი დახშულა გრძნობისა,
ყველგან გამქრალა შეგნება გულ-წრფელი მეგობრობისა!

ძე კაცთა სულში, სხეულში სიმხეცე გამეფებულა,
სუყველა გიჟსა ემსგავსის, სუყველა გაცოფებულა!
მუდამ ერთ-ურთის დაცინვა და გესლიანი ენები;
ჩაგვრა, წამება, გასრესა!.. სისხლში დასვრილი ხელები!..

თურმე აჩრდილნი ვყოფილვართ, უბრალო სიზმრის ლანდები,
ყოფნის დღიურით ნაწამნი, ტანჯვასთან შენაფარდები!..
ნეტავ რად სცოცხლობს ძე კაცის, ან ქვეყნად რისთვის შობილა,
თუ რომ იმათი სიცოცხლე ამ ქვეყნად ფუჭი ყოფილა!..

**დ. ჭანჭათელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დ უ რ ე ბ ა



**ქალთა გიმნაზია** (ყოფილი სასულიერო სასწავლებელი) ერთობის ქუჩ. საკურთხეველის უკანა კედელი გადმონგრ.



**ოქონის ეკლესია**, მთლად სამრეკლო დანგრეული.



**მათეს ქუჩა**, რომელზედაც გავლა შეუძლებელია, ნანგრევთ გამო; ქუჩის ორივე მხრიდან გადმონგრეულია, კედლები და გადმოცვივნულია ავეჯეულობა.



**კომისარიატი**, კედლები ჩამონგრეულ-გადმონგრეულია.



**სომეხთა ეკლესია ოქონის ახლო**, მთლად დანგრეულია.

(სურათები „თეატრი და ცხოვრება“-სთვის საგანგებოდ [illegible])

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ვანო გიორგისძე ნახუცრიშვილი**

(გარდაცვალებიდან 6 თვის შესრულების გამო)

ს. ხაშმის ნიჭიერი და მუყაითი სცენის მოყვარე, თბ. I გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფე, ჯერ კიდევ ბავშობიდან შეუდგა სასცენო მუშაკობას, ვითარცა ნიჭიერ სცენის-მოყვარე მშობელთა შვილი. მთელი თვისი ჭაბუკური გატაცებით ჩაუდგა ხაშმის სცენას სათავეში და დაუღალავად მუშაობდა როგორც მსახიობი, ორგანიზატორი, თაოსანი. შეადგინა სალიტერატურო წრეც და კულტურულ საქმეებში მხნედ მუშაობდა. სომეხ-ქართველთა ომში თავის ერთად ერთი ძმით ბრძოლის ველზე წავიდა და ომის გათავებამდის იქ დაჰყო. გასულ ზაფხულს სასცენო საქმეზე თბილისს იყო, შემდეგ სოფლებში, სადაც სათეატრო გახურებულ მუშაობაში გაცივდა და სახადით გარდაიცვალა. მისმა გარდაცვალებამ ყველა მის ნაცნობთა შორის საერთო მწუხარება გამოიწვია. ამხანაგთა შორის ხსოვნა მისი წარუხოცელი დარჩება და გაუბედურებულ მშობელთ ნუგეშად ის და დარჩებათ, რომ მათმა ნაშობმა თავისი ხან-მოკლე სიცოცხლე საქვეყნო და სახელოვნო საქმისთვის არ დაზოგა.—დღეს სამხედრო ტაძარში მისი 6 თვის პანაშვიდია.

ი—ლი

# ძველ დუქანში

**სცენები 1 მოქმ.**

**მოქმედნი:**

1. **დარჩო** —მიკიტანი
2. **ოსეფა** — ბაყალი
3. **გრიქულა** — ყასაბი
4. **ივან რუსი** ბუხრისმწმენ. (ნაგარად).
5. **შაქრო** —დარჩოს მსახური.

(დარჩუას დუქანი. მარჯვნივ დახლი. დახლზე ერთი საანგარიშო, პატარა წიგნი და 3-4 ღვინის ბოთლი).

## I დარჩო.

**დარჩო** (შემოდის და ჭიქებს წმენდას დაუწყებს) ბიჭო, შაქრო! (ანგარიშობს საანგარიშოზე). ეს კალატოზ სტეპკუაზე სამი მანეთი, მექუდე მიქელაზე ორი და ათი შაური, დურგალ აველიქაზე მანეთ ნახევარი —სულ შვიდი მანეთი. (წიგნში სწერამს). ვა! ეს ოხერი, სწორედ ძილის გუდა გახდა რაღა! სად გაგეგონა, ველოდო, მინამ ბაყალ ოსეფას ვირი დაიყვირებს, კაცო!? მერე იმ ოხერმაც, თითქო კანდრახტი ჰქონდესო დაწერილი, სწორეთ შტაბი რო რვა საათს დაჰკრავს, ისიც მაშინ მოჰყვება ხოლმე ღრიალს. ჩემი საათი რო დადგება, მინამ ის არ დაიყვირებს, არ გავასწორებთ ხოლმე (ისმის ვირის ყროყინი). ბიჭო, შაქრო, შე ყურუმსაღო, შენა, ადე რაღა, აგე საათმა რვა დაჰკრა; გამოდი დუქანი დაგავე.

**შაქრო** (გარედან) ახლავე, ხაზეინ, ახლავე!

**დარ.** აი, ახალი ჭირი გეცეს შენა, ისპანკა, და ძველმა თან გაგიტანოს, აჰა! (გამოდის შაქრო).

## II იგივე და შაქრო

**შაქრო** (თვალებს იფშვნეტავს) გამარჯობა ხაზეინ!

**დარ.** (ქუდს მოუხდის დაცინვით) ღმერთმა გადღეგრძელოს, გასპადინ, ტაეარიშჩ! ესე ადრე რათა სწუხდებოდი, ჯერ ხო მამლებს არ უყივლიათ?

**შაქ.** მამლებს კი არა, ოსეფას ვირმაც დაიყვირა, და აგე (გარეთ გაიხედავს) მზეც ამოსულა (ჭგვის).

**დარ.** (ქუდს დაიხურავს) მზე რო ამოვიდა, ეგ მეც ვიცი, მაგრამ შენთვის... (მიეპარება და ჭიტლაუს ამოჰკრავს) აი, შენ კურტუმზე ამოვა, ეხლა, კაი კოპი მზის მაგივრათ, შე, ყურუმსაღო, შენა!

**შაქ** (ტკივილისგან დაიღმიჭება და ფიცხლავ მოუბრუნდება დარჩოს. დარჩო შეშინებული უკან დაიწევს. თავის თავად) ჰა! ეს ოხერი ქართველები, ცოტა ჰოპოპები უფრინავენ. აქ არა მდოს რა!

**შაქ.** რა არი, ხაზეინ? ეხლაც ძველი დრო ხო არ არის, რო ეგრე მცემ? წინათ ცემისაგან სულ გვერდები მქონდა დალურჯებული, და ეხლაც არ მაკლებ!

**დარ.** (გულზე ხელს იცემს) ვაი, შენი ბედი და შენი იღბალი, რო სტარი რეჟიმი აღარ არის, თორე აქამდინ, ან ვირის აბანოს გაგაცვეთინებდი, ან გარადოვ ივანას ერთ არაყს ჩავაცეცხლებდი და იმის ჩექმებს ქვეშ გაქელინებდი!

**შაქ.** ხო, ეგრე ვიყავით დაჩაგრულები წინათ შვილოსან; და, როგორც გინდოდათ, ისე გვექცეოდით, საითაც გინდოდათ იქით გაგვამგზავრებდით ხოლმე... ისევ სოფელში მერჩივნა...

**დარ.** (დაცინვით) ვა! შენმა მზემ, სოფელში რო იყავი, რა გიჭირდა? ?რი პოვერი სადილს გიმზადებდა, ლაქიები სტალავოის გიწმენდამდნენ, და შენც უკან ხელებ-დაწყობილი (აჯავრებს) თქვენ ზალაში გულაობდი, რაღა! აქეთ მადლობელიც რო არ არის კაცო და, რო ვასმევ-ვაჭმევ და ხელობასაც ვასწავლი? (აქეთ) ამის მამამ რო არ მოიყვანაა, რაც სახელიაო, ის თითონ არისო; ვაი, შაქარი კი არა, დარიშხანაზე უარესია, ეს ყურუმსალი დარიშხანა (თავისთვის) ნათქვამია: სომეხსა ქართველი ვერ მოა-

ტყუებსო, მაგრამ რას იზამ? ესეც სლუჩი ყოფილა რაღა!

**შაქ.** რათა ვა?...

**დარ.** (გააწყვეტინებს) კარგი, გეყოფა, მორჩი! აგე, მუშტრებიც მოდიან!

**შაქ.** (ამოიოხრებს და განაგრძობს ღაგვას, მინამ მუშტრები შემოვლენ. შემოდიან ოსეფა და გრიქულა).

III იგინივე, **ოსეფა** და **გრიქულა.**

**გრიქულა.** ბარი ლუს დარჩოჯან! ქეფთ ვონცე?

**დარ.** ასტუ ბარი გრიქულჯან, ლავემ, რაღა! (ოსეფას) ვა! ამას რა ცხვირი ჩამოუშვია მამალი ინდაურივით. (ტირილით) ვაიმე, ოსეფჯან, შენი ვირი ხო არ გადაიცვალა?

**ოსეფა** არა, კაცო, ვირი კი არა, წუხელი ფინთი სიზმარი ვნახე!

**დარ.** (გახარებული პირჯვარს იწერს) ტერ ასტვაწ! მაშინ ჩემი შაქრუა ხო ათ საათზე აბძანდებოდა ხოლმე.

**გრიქ.** ეხ! კარგი, თქვენი რჯულიც დაიქცეს და! მაიტა, დარჩო, თითო არაყი დაგვისხი!

**დარ.** (გრიქულს) კაცო! ჩვენი ოსეფა ძაან სურიოზნი რამესა ნახამდა აი, რო ესე ჩამოუყრია ყურები: ნეტა რას ნახამდა?

**გრიქ** რასა ნახამდა, და იმასა ნახამდა, რო თავის სათენიკას მოსტაცებდნენ რაღა.

**დარ.** შენ შენი სუსანა თითონ გააგდე, ბევრ პურსა სჭამსო და ამისათვის რო მოუტაცნიათ, უფრო ოსეფას ყოჩაღობა არ იქნებოდა?

**გრიქ.** ჩემი სუსანა რო გავაგდე, იქ სულ სხვა პრიჩინა იყო; ის ოჯახდასაქცევი სადილზე რო არ დავსხდებოდით, სულ ბრმა სვავივით ილუკმებოდა ხოლმე, კაცო. რა გინდა ჩემი მოგებიდან აღარაფერი მრჩებოდა, კაცო. სულ იმის ოხერ მუცლის გაძღომას უნდებოდი. ბოლოს, ავდექი მეცა და, აიბარგე მეთქი.

**დარ.** ძალიან კარგი გიქნია, გრიქულჯან, ძალიან კარგი! ეხლანდელ დროში ხო იცი, ფული!! ტყუილათ კი არ არის ნათქომი: თუ გაქ ფული, სჭამე მოხრაკული!

**შაქ.** (იქით) შენმა მზემ, რაც შენ მოხრაკულებს არა სჭამდე! ცარიელ მჭადზე ალამებს მთელ დღესა.

**დარ.** მერე, თუ სათენიკა მოსტაცეს, ესეც რა უკან გამოუდგებოდა აი! ამისთანა დოროგავიზნაში არ იცი ქალის შენახვა რა ღირს? მერე ისიც სათენიკასი. იცი, როგორი კოხტაობა უყვარს? ეხლაც რო გამოვა ხოლმე გარეთ, რო შეხედო, მინისტრის ცოლი გეგონება: შანტიკლორის კაბა, ყელიანი ფეხსამღელები, ერთ არშინიან პერუანი შლაპა და სახე, ხო ფქვილის მეშოკივით აქვს გათხუპნული.

**გრიქ.** ეხ! კარგი, ნუ გააგძელე ქურხულის[illegible] ბასივით! (აიღებს ჭიქას) გაგიმარჯოთ, იცოცხლეთ, ორი სახარება შეგეწიოთ. (სვამს).

**დარ.** და **ოსეფა.** გაგიმარჯოს! (დარჩო ოსეფას არაყს დაუსხამს).

**ოსეფა.** (დაღონებული) ეჰ! იცოცხლეთ! ღმერთმა კეთილი ამბავი გაგვაგებინოს. (სვამს)

**გრიქ.** (დარჩოს) დარჩო! შენ რატო აღარა სომ?!

**დარ.** ვა, მე რო დავლიო, ფული ვიღამ მისცეს?

**გრიქ.** ე, შე, სკუპოვო, შენა! ჩაცეცხლე, ფულს მე მოგცემ!

**დარ.** მაგაზე როგორ გაწყეინებ, გრიქულჯან? თუ შენ დამპატიჟებ, ვინ პირძაღლი ორ არაყზედაც გეტყვის უარს. დავლევ, მაგრამ, ჰა, მერე ატკაზი არ დაჰკრა, რო არ დაგილევიაო აი, და ფულის მოცემაც არ დაგავიწყდეს!

**გრიქ.** კარგი, კარგი, ხო!

**დარ.** (დაისხამს არაყს) ღმერთმა გაგიმარჯოთ, სუფ-სარქისი შეგეწიოთ. (სვამს) არა მაინც რა იყო, ოსეფჯან, ნავერნა ძაან ინტერესნი შტუკა იყო, არა?

**ოსეფა.** (ოხვრით) რაღა რა იყო, კაცო, რაღა რა?!მითომა, სუფ-გეურქის საყდარში ვარ, შეგეწიოს იმისი მადლი და „მერ ჰაირს" ვიძახი. ერთიც ვნახოთ, გეგონება ელექტრიჩესკმა გაანათაო, და ჩვენი ტერტერები ქართველების ტერტერებათ გადიქცნენ.

**დარ.** და **გრიქ.** (გაკვირვებულები) ვა!!!

**ოსეფა.** ჩემი სიყმის მზემ, რაღა! ამ ხატებმაც სულ ქართულ ენაზე დაიწყეს ლოცულობა.

**დარ.** მერე, მერე?!

**ოსეფა.** რაღა მერე, კაცო, ჩვენი „მერ ჰაირი" მინდოდა მეთქო, მაგრამ სულ ქართულათ გამამდიოდა; სუფ-გეურქის წინ დავიჩოქე, ერთიც ვნახოთ, იმის მაგივრათ, დვარეცზე როა, რაღა, აი ქართველების სუფ-გეურქი, ის გამამეჭიმა.

**გრიქ.** (დაღონებული) ვა, ეს კარგი ამბავი არ უნდა იყოს!

**დარ.** (ფიქრობს) ვა, ეს რას უნდა ნიშნამდეს, კაცო?

**ოსეფა.** რაღა რას უნდა ნიშნავდეს? ძალიან ფინთი რამეა. ეს გიჟ-ვრაცუებმა აქ ოინი რამე არ გვიყონ, იმისი მეშინიან.

**გრიქ.** რა ოინი? რა ოინი უნდა გვიყონ, როცა მთელი ანგლია და ამერიკა ჩვენკენ არიან, მაგრამ ეს საყდარში რო მამხდარა რაღაც ნესჩასტიას უნდა ველოდოთ.

**დარ.** ვა, მერე აქ ნესჩასტია რად იქნება. ხატისოვი მაშ დღეში შვიდ ტელეგრამას რათ უგზ[illegible] ვნის ანგლიას და ფრანციას. რაზუმეიცა [illegible] უნდა, რაღა, რო გააკეთოს.

**შაქ.** (იქით) ამ სომხებს ეს რო[illegible] დგათ?

**დარ.** (მხიარულად) ე თქვენცა და, კინაღამ გული მუცელში ჩამივარდა. იმდენი სააბრაქენია როგორ ვერ გაგიკეთებიათ, რომ ამ ნაირი პრასტოი ოამეც ვერ გამოგიცნიათ?

**ოსეფა.** შენ იცი მაშ, რასაცა ნიშნამს ჩემი სიზმარი?

**დარ.** როგორ არ ვიცი, კაცო, ვა! (იცინის) აი, ეხლა ხან რო გრუზინწკი პრავიტელსტვამ პრიკაზი გასცა, ყველა ვივესკებზე ქართულათ იყოსო დაწერილიო, ეს იმას არა ნიშნამს მაშა?

**გრიქ.** (სიხარულით) მართალს ამბობს აი, ოსეფჯან! ჩვენი დარჩუა მიკიტანი კი არა, პრაფესორი უნდა იყოს, პრაფესორი.

**ოსეფა.** მაშ, რახან გამოიცან, დარჩოჯან, ჩემ ჩოტში ერთი კვარტი ღვინო უნდა დავლიოთ!

**გრიქ.** ჩემ ჩოტშიაც, ცოტა ზაკუსკა დავაყოლოთ!

**დარ.** ჩემ ჩოტშიაც... არაფერი აღარ გვინდაო, რაღაზე დაგპატიჟოთ.

**შაქ.** (იქით) ეს სომხები სწორეთ ჰკუაზედ შეიშალნენ.

**დარ.** ბიჭო, შაქრო! რასა ბუტბუტებ? მოდი რაღა ერთი სუფრა გაგვიშალე!

**შაქ.** ამ საათში, ხაზეინ! (შლის სუფრას. მოაქვს პური, მწვანილი, ღვინო, ჭიქები და სხვა. ოსეფა, დარჩუა და გრიქულა მოუსხდებიან სუფრას და შექცევიან)

**გრიქ.** (აიღებს ჭიქას) დარჩოჯან, ღმერთმა გაცოცხლოს, რო ეგრეთი ჭკვიანი თავი გაქ. ჰა! ჭკვას გაუფთხილდი, აი, არსად გაგექცეს. ყურებში ბამბა გაიკეთე ხოლმე; ხუხრუტანებიდან არ გაგეპაროს. (სვამს).

**დარ.** გმადლობთ, გენაცვალე, შენი თავი მიცოცხლოს. (თავისთვის) შენი ჯიბე დაცარიელდეს ჩემ დუქანში! (შაქრო გაიგებს და დიმილით თითს დაუქნევს. დარჩო ჩუმათ შეუტევს).

**ოსეფა.** დარჩოჯან, ღმერთმა ისე გიშველოს, როგორც შენი გული სთხოვდეს. როგორც ჩემი სიზმარი მართლა არ ახსენ, მაგ სიმართლით გატაროს თელეთის ხვთისშობელმა. (სვამს).

**დარ.** გმადლობთ, ოსეფჯან, გმადლობთ (ჭიქას, აიღებს). თქვენც იცოცხლეთ, ბარაქა მოგცეთ, ამნაირი სიმხიარულე ნუ მოგვიშალოს ღმერთმა. (სვამს. პაუზა. მღერის) ეს სოფელი მისთვის მინდა შენ გიყურო ჩემო მზეო! (ამოიღებს ათთუმნიანს და უცქერის. ფანჯრიდან შემოიხედავს ივანა, შემდეგ დუქანში შემო-[illegible]რჯზე გადაკიდული აქვს ძველი ტომარა, თოკი [illegible]ნქიანი. სახე გამურული აქვს).

IV. იგინივე და ივანა

[illegible]хо! энта хорошая компанія!

**დარ.** ო! ივან! დრასტი (თავისთვის) ვაი რა ჩაგვიშხამა ქეიფი, თავში რო კეტი სცემო. ამას აქედანლა მოიშორებ, ეხლა?

**ივ.** Здравствуйте, госпада, здравствуйте (სავსე ჭიქას აიღებს) будте здоврови! (გადაჰკრავს)

**გრიქ.** ვა, ამას თავის გარადოვობის დრო ხო ჯრა ჰგონია, რო ესე დაუკითხავათ აწაპნა!

**დარ** (თავისთავში) ვა! ეს ოხერი, საიდან შემოეთრია, კაცო!

**ოსეფა.** Што надо, Иванъ!?

**ივ.** Да такъ, проходимъ мимо, ашъ и виномъ запахло, думаю зайду-ка погляжу на Дарчо (სკამს მიიდგამს და დაჯდება).

**შაქ.** ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა ისიც მიემატაო!

**დარ.** მე ვიცი ამას რა მუცლის გვრემაცა ჰქონდა! პაგლიადიტე და სუფრის თავს კი მოექცა. რას იზამ, ერთი-ორი სტაქანი ჩავაცეცხლოთ და იქნება თავის-თავად გავიდეს აქედან (მუქარით) თუ არა და.

**გრიქ.** თუ არა და შენმა მზემ, შენც ერთბაშათ არ გააგდო აი! გახსოვს გარადოვათ რო იყო, ერთხელ როგორ მოგვიფრინა სამივენი, დაბალი ოჰანასი და დალალ სერგუას ჩხუბს რო უცქეროდით?

**დარ.** (თავს უკრავს სიცილით).

**ივ.** Что вы бормочете здѣсь? Неужто старое вспомнили?

**დარ.** Ничаво, хочу твои здоровіа випитъ, толка Грикулъ ни пускаитъ, гаваритъ я долженъ випитъ, гаваритъ.

**ივ.** Да мене все равно, хтобъ-ни пилъ. (გარედან ისმის ხმა: ტელეგრამ! ტელეგრამ! ფანჯრიდან შემოსძახებენ: დარჩო ტელეგრამა არ გინდა, ძალიან საინტერესოა, აი!)

**დარ.** საინტერესო შენმა მზემ, პური ორი გირვანქა შვიდი კაპიკი გამხდარა აი! მაგრამ რას იზამ? ვიყიდი ხეირს მივცემ რაღა, და დავაგდებ მერე ბოთლს გაუხვევ ვისმე. (შაქროს) ბიჭო შაქრო! გუშინ შენთვის შაგირდანა არ უჩუქებია ვისმე, იყიდე ტელეგრამა და მერე გაგისწორდები.

**შაქ.** არა ხაზეინ; არაფერი მოუციათ.

**გასპ.** მაშ წადი და დახლის იქით სუფრის ქვეშ შაურიანებია მანეთ ნახევრისა, გუშინ ქვრივ მაშუამ ღვინოში მეტი გადმოაყოლა და იქიდან მიეცი. ჰა გაუფთხილდი, მანეთზე მეტი არ გადაათვალო! (შაქრო გადის და შემოაქვს დეპეშა).

**ოსეფა** აბა, ერთი წაიკითხე გრიქულჯან, რასა სწერამენ?

**გრიქ.** რა უნდა წავიკითხო! მასხარათ მიგდებ? არა რომელი გემნაზია გამითავებია, რო კითხვა ვიცოდე?

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ვასილ დათიას ძე მჟავია.**

ჩოლოქის პირას თათრებთან ომში დაღუპული, თავისუფლების და სამშობლოის ერთი საუკეთესო ერთგული შვილთაგანი. პირველად, რევოლიუციის გაჩაღების დროს ს. ხრიალეთის ს. დ. ორგ. დავალებით თავის სურვილით თბილისს ჩამოვიდა და ჩაეწერა თბილისის კერძო რაზმში.

აქედან თავის ამხანაგებით გაიგზავნა ჩოლოქის ომში· აქ რამოდენიმე ამხანაგით უხიფათო პოზიციაზე შეხვდა დგომა, მტერი ძლიერ ნაკლები იყო, მაგრამ მეორე მხარეს კი მის ამხანაგებს მტერი ანადგურებდა. მოუთმენლად გაეშურა იმ სანგრებისაკენ, სადაც ამხანაგები უკანასკნელ წუთებში იყვნენ. იქ მისვლამდის მოხვდა ტყვია ფეხში, მაინც სანგარში ჩახტა და მტერს შეუჩერებლივ დაუწყო სროლა და თან მტკიცედ შესძახა:

—სად მოხვალთ ჯალათებო! ნუ თუ გგონიათ უმსხვერპლოდ დაგითმობთ სისხლით მოპოვებულ თავისუფალ სამშობლოსო!.

მაგრამ ხანგრძლივი არ იყო მისი ვაჟკაცობა, მტრის ტყვია შუბლში მოხვდა და სული განუტევა.

რადგან ამ ხანებში სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა, ვასილის გვამი გამოვასვენეთ თავის მეზობლებმა სამი დღის შემდეგ და იქვე, თავისივე სოფელ ხრიალეთის ეკლესიაში დავასაფლავეთ.

მშობელმა მიწამ მიიხუტა გულში სამუდამოთ თავის ღირსეული შვილი...

მშვიდობით საყვარელო ვასილ!.. ბედნიერი ვართ ჩვენ, როცა შენებრ გმირების შექმნა შეუძლია ჩვენს სამშობლო ბუნებას...

ჩვენო სიამაყევ!.. ვამაყობთ ჩვენ და ვამბობთ: ჩვენ ვართ ის ერი, რომელიც ყველა თავის მომხდურ მტერს ქედს არ მოუხრის და ჯეროვან პასუხს გასცემს...

**იაკინთე ხომერიკი**

---

**ოსეფა** მაშ შენ წაიკითხე!

**დარჩ.** მე ხო, რაღა, დუხოვნი სემენარია მაქვს დასრულებული! ჩემი საქმე ფულის ანგარიშია, რო ბლომათ მოვიგო, ცოტა დავხარჯო.

**ოსეფა** ვა! მაშ ვის უნდა წავაკითხოთ? (შაქროს) ბიჭო, რუსულათ არის დაწერილი თუ სომხურათ?

**შაქ.** (კითხულობს) ქართულათ არის!

**ყველანი** (გარდა ივანესი გაკვირვებით) ქართულად?

**შაქ.** ხო ქართულად!

**დარ.** ახში, კიდე ქართველები ვახეირე, კაცო!

**ივან.** Што такое, чему такъ удивляетесь

**დარ** Ничаво, телеграмъ купилъ, ჰამა нихто ни можитъ читатъ.

**ივან** Даваите, я прочигаю!

**დარ** Читай пожалуста Иванъ-ჯან себѣ. (შაქრუას) ბიჭო, გარეთ გაიყვა და იქ წააკითხე, იქნება იქიდანვე წავიდეს თავის თავათ.

**ივან.** (გამოართმევს დეპეშას შაქროს და რო გაიგებს ქართულია, დარჩუას შეუტევს) Ухъ ты чортъ! хотѣлъ меня надуть и выдворитъ отседова?

**დარ.** Што такой? Зачѣмъ кричишъ? Ва, я многа зналъ штоли, што на грузинцки написанъ? (ივანა მიიწევს დარჩოსაკენ, დარჩო მაგიდის უკან იმალება. ოსეფა ივანეს იჭერს. ერთმანეთს ლანძღავენ).

**გრიქ.** ვა, აქ თუ მე არ ჩავერიე, საქმე ფინთათ წავა, აქ სამივენი არა გვზილოს ამ ოხერმა! (ივანეს) Иванъ-ჯან зачимъ сирчаипа? Пришолъ, куши, пашолъ? Ни видалъ? аказываипа на грузинцки написана и нашъ Дарчо думилъ, што ни знаишъ на грузинцки.

**ივან.** Да ну ихъ къ чертямъ (აქეთ-იქით იხედება) я по грузински не читаю (ისევ სუფრას მიუჯდება)

**გრიქ.** Ни читаишъ, да ни нада! (ფიქრობს) მაშ შაქრუას წავაკითხოთ!

**ოსეფა** წავაკითხოთ! აბა ერთი წაიკითხე, ბიჭო

**შაქ.** (გამოართმევს ივანეს დეპეშას და კითხულობს). „დიდთა სახელმწიფოთა უზენაესმა საბჭომ, მისტერ კერზონის მოხსენების თანახმად, იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა“.

**დარ** რაო? საქართველო კერძისთვის დაუკიდიათო?

**შაქ.** საქართველო სახელმწიფოთ უცვნიათ!!

**ოსეფა, გრიქულა და დარჩო.** (წამოიშლებიან გაკვირვებით) რაო? რაო?

**ივან.** (გაკვირვებული) Што такое? Што случилось?

**შაქ.** ისა, რომ საქართველო დღეიდან თავისუფალი სახელმწიფოა!

**დარჩ.** როგორ თუ თავისუფალი? (ივანეს დაქუცით) Гаваритъ, грузинцки государства гаваритъ, слабодни.

**ივან.** Какъ это такъ? Неужели признана независимость Грузіи? (ფიქრობს)

**გრიქ.** აბა ერთი ნახე, ბიჭო, სომხებზე არაფერი სწერია?

**შაქ.** (კითხულობს) არა!

**გრიქ** (შეწუხებული) მაშ, ხატისოვს?

**ივან.** Да, значитъ Грузія навсегда отдѣлилось отъ Росіи.

**ოსეფა** (ტირილით) ვაი! აი სად ახდა ჩემი სიზმარი.

**შაქ.** (გახარებული) ძლივს შეიქმნა ჩვენი საქართველო თავისი თავის ბატონ-პატრონი, გაუმარჯოს თავისუფალ დამოუკიდებელ საქართველოს!!!

**ყველანი** (გამოუდგებიან. შაქრო გარბის ყვირილით): გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!!!

**ფარდა** **ნ. მუმლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



**დ. კლდიაშვილის იუბილე** გაიმართა თებერვლის 15 სახელმწიფო თეატრში. პირველ განყოფილებაში ივანე გომართელმა წაიკითხა მოხსენება დ. კლდიაშვილის შემოქმედების შესახებ. მეორე განყოფილებაში გაიმართა მილოცვები. მიულოცეს მთავრობამ, ჯარის წარმომადგენლებმა, პრესამ, საზოგადო დაწესებულებებმა და სხ.

იყო ბევრი სიტყვა, ცოტა საჩუქარი. მეტად სასურველია იუბილეებზე მოლოცვების სისტემა შეიცვალოს. ყოველ დელეგატის სიტყვას დრო უნდა განისაზღვროს. აღნიშნულ იუბელეზე უმრავლესობა დელეგატებისა ლექციებს კითხულობდა იუბილიარის შემოქმედებაზე, ასე რომ იუბილიარსაც თავი მოაბეზრეს და საზოგადოებასაც. თვით მილოცვებმა ორ საათს გასტანა. ვლასა მგელაძეს გულწრფელად ვულოცავთ პოეტურ ნიჭის გამოჩენისათვის, მაგრამ სასურველია, რომ გრძელი პოემები წაკითხულ იქნას კერძოთ სხვაგან და არა იუბილეებზე. ჩვენ დიდი სიამოვნებით მოვუსმენთ მას, მაგრამ ყველაზე უფრო გაგვაკვირვა პ. იაშვილის გამოსვლამ. მან რეალისტი დ. კლდიაშვილი აირჩია წარმომადგენლად და შუამავლად საცა ჯერ არს, რომ პოეტებს მეტი სარბიელი მიეცეს სამუშაოდაო. პ. იაშვილის სიტყვამ მხიარულება შეიტანა საზოგადოებაში, რომელიც მოწყენილი იყო უთავბოლო მილოცვებით. ბოლოს მსახიობებმა დადგეს დ. კლდიაშვილის პიესები „უბედურება" და „დარისპანის გასაჭირი". საჭირო იყო ჩვენს მსახიობებს ამ დიდ დღისთვის მაინც შეესწავლათ როლები. როლები უმეტესობამ სრულიად არ იცოდა: კიდევ უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველ მსახიობმა თუ არ შეისწავლა ჩვენი პროვინციების კილო, იგი ქართველ მსახიობათ არ ჩაითვლება და საზოგადოებას კვლავ აუცრუებს გულს სცენისადმი. იმერული კილო არ ისმოდა ამ საღამოს, გარდა ორი სამი მსახიობის. დღესასწაულს მრავალი საზოგადოება დაესწრო და ტაში-ვაშას ძახილით გააცილეს ძვირფასი და მცხოვანი იუბილიარი.

**ქინა.**

---

**ქართულ კლუბში** თებერვლის 22 ქართველ მსახიობებმა მ. ქორელის რეჟისორობით წარმოადგინეს ნ. შიუკაშვილის პიესა „ციცინათელა". პიესა ტეხნიკურად სუსტი არ არის, მხოლოდ შინაარსი და სული – ქართული არ გახლავთ. შიუკაშვილის ყველა ტიპები თითქო ქართველები არ არიან, თუმცა სახელ—გვარს ქართულს ატარებენ. ეგ იმ დროს, როდესაც ქართველების ცხოვრებაში დრამატურგისთვის ბევრი საყურადღებო ტიპები და მოვლენებია. ი. გედევანიშვილი, შალიკაშვილი და სხ. ამითი სარგებლობენ, მხოლოდ ნ. შიუკაშვილი კი გაურბის.

შემსრულებელთა შორის პირველ რიგში აღსანიშ[illegible] ნინო ჩხეიძე—ბაბოს როლში. მან ნათლად და [illegible] გადმოგვცა ბედისაგან დაჩაგრული ქალის ფსი[illegible] მ. ქიაურელმა—ლევან მესხიშვილის როლში [illegible] დაუმშვენა მხარი ნ. ჩხეიძეს, მრავალფერო[illegible] [illegible]გრესი [illegible] მსახიობის და ქიაურელს ყოველ როლში შეაქვს თავისებურობა. მ. ქორელი გაიძვერა მაქსის როლში უნაკლო იყო. სტუდიელი სარჩიმელიძეც ნიჭიერი ახალგაზდაა. მან მშვენივრად დაგვიხატა გახრწნილ ინტელიგენტის როლი. ე. ციმაკურიძის ქალმა მოსამსახურეს როლში ბევრი სიცოცხლე შეიტანა. ხელოვნურად მოხუცობდა ვასაძე ბაბოს მამის როლში. საჭიროა მეტი ბუნებრივობა. აქვს კარგი ხმა ნაზი და გრძნობიერი იყო გამრეკელი—ციცინათელას როლში. ძნელაძემაც კარგათ ჩაატარა თავის პატარა როლი. რეჟისორის საყურადღებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ არ იყო საჭირო მსახიობების დაბლა ტონით ლაპარაკი, რომელიც პირველ რიგებშიაც ძლივს ისმოდა. საერთოდ პიესამ კარგათ ჩაიარა. წარმოდგენა დაიწყო ღამის 10 საათზე. თეატრი არ იყო სავსე, საჭიროა საზოგადოების მეტი ყურადღება ქართულ წარმოდგენებისადმი. **ჯილალი.**

---

**საარტისტო თეატრში** კიდევ ერთხელ დავრწმუნდით თებერ. 25, რომ სათეატრო ხელოვნება ჩვენში ღვთის ანაბარად არის მიტოვებული. ჩვენი მსახიობების მიერ აქ დადგმული „ურიელ-აკოსტა" ყოველგვარ მხატვრობის გარეშე იყო. ურიელ აკოსტას მესხიშვილის ძლიერმა ნიჭმა, ქართულ სცენაზე უკვდავი სახე მისცა და დღეს თუ ვინმე მიდის ამ პიესაზე, აქ ერთგვარ ინერციას აქვს ადგილი: კიდევ ერთხელ ჰნახონ ურიელის სახე და თითქოს ამით მესხიშვილის სახესაც წარმოიდგენ. მაგრამ შანშიაშვილის ძლიერმა ცდამ არა თუ გვაჩვენა ურიელი, არამედ ძველი შთაბეჭდილებაც კი მოგვიწამლა. გინახავს მკითხველო, მძიმე ტვირთ ქვეშ მუშა, რომელიც ხან წაიბორძიკებს, ხან წაიქცევა, წამოდგება, კვნესის' კანკალებს. აი შანშიაშვილი ურიელის როლში. მას შეიძლება უყვარს ეს როლი და ფიქრობდეს მის განსახიერებას, მაგრამ ამასთან საჭირო არის შეგნება შესაძლებლობის. და ეს უკანასკნელი კი მას არ ჰქონდა. აქვე კი უნდა აღვნიშნოთ, რომ შანშიაშვილი ნიჭიერი მსახიობია. ივდითი—ქილარჯიშვილი ლოღიკური გაგრძელება იყო შანშიაშვილის. ალბათ ანსამბლი იყო საჭირო, როგორც შანშიაშვილს, ისე ამასაც ვერ გაუგია ის, რომ როცა პიესა დაწერილია თეთრი ლექსით, გამოთქმას დიდი მნიშვნელობა აქვს. უბრალო მძიმე ყველაფერს გააფუჭებს, და ამ მხრივ ხომ კიდევ მეტი დეფექტები იყო.

აღარ ჩამოვთვლი ყველას დალაგებით, ვიტყვი, რომ ერთი ყველასათვის იყო და ყველა ერთისთვის და საერთოდ მტრად განწყობილნი პიესისადმი.

ჩემი გულწრფელი რჩევაა, რომ როცა ასეთი რთული პიესა დაიდგმება, საჭიროა მეტი პასუხის მგებლობა და უნარიანობა. ეს თვისებები არ შეიძლება უერთი-მეოროდ. 25 თებ. კი ეს არ ჩანდა. ვნახოთ რას გვეტყვის „სამეგრელოს მთავრის ლევანის" დადგმა. **კან-განიძე.**

---

**ავჭალის აუდიტორიას** შესამჩნევი გამოცოცხლება დაეტყო. ახლად მოწვეულმა ახალგაზრდა რეჟისორმა პ. ფრანგიშვილმა სამი პიესა დასდგა და, უნდა ითქვას სიმართლე, რომ სამივე პიესამ მხატვრულად ჩაიარა. ჩვენდა სავალალოდ აუდიტორიის გამგეობა ძალზე სუსტობს, ს. ქიტიაშვილს გარდა არავინ არ მუშაობს (მხოლოდ კრებებზე ესწრებიან). გამგეობამ საზოგადოება წესრიგს ვერ მიაჩვია. ერთი შემთხვევა: შაბათს, თებერ. 21, ფრანგიშვილის რეჟისორობით დაიდგა „ყაჩაღი არსენა". უკანასკნელ მოქმედებაში, როცა პეტრე არსენას კლავს, რო[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიესის აზრი ისკვნება, პარტერში სიცილი გაისმა. ფრანგიშვილმა ველარ აიტანა ხელოვნების შელახვა და ფარდა ჩამოაშვებია ფარდ ს ჩამოშვების შემდეგ გამოვიდა აღელვებული საზოგადოების წინაშე და მოუწოდა მათ ხელოვნების პატივისცემისაკენ. დროა შევიგნოთ, დროა გავიგოთ, რომ სცენა საპამპულოდ არ არის, როგორც წინათ მიაჩნდათ! დროა ავჭალის აუდიტორიის გამგეობამაც გაიგოს, რომ საჭიროა პარტერში წესრიგის დაცვა.

**შალვა გორისელი**

———

**ფოთი** საქართველოში თითქმის ერთადერთი ქალაქო, რომელსაც შეუძლიან ხელოვნებაში ერთი ათად დაწინაურდეს, მაგრამ ეს ასე არ არის. ავიღოთ თეატრის საქმე. დრამატიული საზოგადოება აქ დაარსდა 1902 წ. ალექსანდრა ჩაჩანიძის თაოსნობით (იგივე იყო თავმჯდომარე). დაიწყეს დროგამოშვებითი საქველმოქმედო წარმოდგენების მართვა, მაგრამ ჩაჩანიძის გარდაცვალების შემდეგ ამ წარმოდგენების კანდელიც ჩაქრა. ძველი გამგეობის ერთმა წევრმა ნინო ნარაკიძემ 1919 წ. ენკენისთვეში სცენის მოყვარეთ თავი მოუყარა საზ-ის აღსადგენად. სცენის მოყვარეთა კრებამ გადასწყვიტა წრე შევადგინოთ, წარმოდგენები დავიწყოთ და მერე მოვიწვიოთ საზოგადო კრება დრამ. საზ-ის შესადგენადო. ამ წრეში ირიცხებიან: ქ-ნი ნ. ნარაკიძე, თ. ჯიჯიეიშვილი, ვ. მეისწრაფეშვილი, ქ. თურქია; ვაჟნი: მსახიობი კირ. მაჭარაძე, შ. ბეჟუაშვილი, შ. გამყრელიძე, ის. შოთაძე, ავ. ხელაძე, ს. პაიჭაძე, სევ. მჟავანაძე, ივ. ვანელი, მიხ. ხავთასი, შ. ჯიჯიეშვილი, ლადო ჩხაიძე. წრემ მოიწვია რეჟისორად ნ. გვარაძე, მსახიობნი სტ. ხარაზიშვილი და ქ-ნი თ. ჩარკვიანი. გამგეობაში არიან ნ. ნარაკიძე. ქს. თურქია, ლ. ჩხაიძე, კ. მაჭარაძე და ბ. ბეჟუაშვილი. პირველი სეზონი დაიწყო ოქტომბრის 25 დაიდგა: „მოწაფის ტრაღედია“, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, „სიმდიდრის მსხვერპლი“ „დამთხვეული ღენერალი“, „პატარა კახი“, ,,დაძმა“, ,,ქართველი დედა“, ,,სამშობლო“ ,,ქრისტინე“, ,,უმუშევარნი“, ,,შენი ჭირიმე!“, ,,ცხოვრების გმირი“, ,,ორი ობოლი“ და წვრილი ვოდევილები. საზოგადოება თეატრს თანდათან შეეჩვია, უფრო ეტანება ორიგინალურ და ისტორიულ პიესებს. წარმოდგენები იმართება ადგილობრივ ,,თეატრ-კომეტაში“, რომელიც კარგი დარბაზია, მაგრამ სათეატროდ მოუწყობელი და აქაც წრე ყოველ საღამოზე 1000 მან. ქირას იხდის. აქ წრეს დიდის გაჭირვებით უხდება მუშაობა. სხვა შემოსავალი წრეს თითქმის არაფერი აქვს, მსახიობნი მცირე ჯამაგირს იღებენ, თუმცა სცენის მოყვარეთაც კი აძლევენ ცოტა გასამრჯელოს. მიუხედავად მძიმე პირობებისა, წრე მაინც პირნათლად ემსახურება დასახულ მიზანს. წრემ მტკიცედ გადასწყვიტა საძირკველი ჩაუყაროს მუდმივ დასის დაარსებასა და სათეატრო დარბაზის აგებას. აგრეთვე განუზრახავს ამ მოკლე ხანში გამართოს ორი სადღესასწაულო წარმოდგენა: ერთი სტ. ხარაზიშვილის 30 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად, მეორე ნ. გვარაძის პატივსაცემად. წრე უანგაროდ მუშაობს. ვუსურვოთ წარმატება. **მ-რი.**

———

**ფოთის დრამ. წრის** საშუალებათა გასაძლიერებელი საღამო თვითმართველობის დარბაზში გაიმართა შაბათს, თებერ. 21. ამ საღამოსთვის თბილისიდან საგანგებოდ გამოწვეულნი იყვნენ იოსებ იმედაშვილი და ცვარნამი. მაგრამ, სამწუხაროდ, მიწისძვრისა და მიმოსვლის შეწყვეტის გამო ეს ორნი ველარ მოვიდნენ. დაიდგა მხოლოდ ,,დედის ერთა“ (რომელიც ორ განყოფილებად გაჰყვეს). პიესაში მონაწილეობდენ ქ-ნი თ. ჩარკვიანი (დედა) ვ. მოისწრაფე შვილი (თაფლო), ნ. გვარაძე (იოთამი), სტ. ხარაზიშვილი (ზამბურაკი), კ. სიხარულიძე (სონა), ი. შოთაძე (ქაიხოსრო). ვოდევილმა მშვენივრად ჩაიარა. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ამერიკული აუქციონი, ცეკვა-თამაში და ვახშამი. ყველაფრით ნასიამოვნები საზოგადოება დილის 7 საათზე დაიშალა. შემოსავალი 50000 მანეთამდე იყო.

დიდი მადლობის ღირსნი არიან ქალაქის თვითმართველობა, რომელმაც სრულიად უფასოდ დაუთმო დარბაზი, აგრეთვე გამგეობის წევრნი—ქ-ნი ნინო ნარაკიძე, ქს. თურქია, კირ. მაჭარაძე, ბეჟუაშვილი და ვლ. ჩხაიძე. რომელთა მხურვალე მონაწილეობით საღამომ ასე ნაყოფიერად ჩაიარა და ადგილობრივ დასს მცირე ხანს სულს მოაბრუნებინებს. ვუსურვოთ კვლავ ასეთი მხნეობით განევრძოთ მუშაობა. **ფ—ლი.**

# წვრილი ამბები.

**გორის და მის მაზრის** დაზარალებულთა სასარგებლოთ ქ. თბილისის ყველა თეატრში გაიმართება საღამოები.

**მსახიობთა კავშირმა** გორის მაზრაში მიწისძვრით დაზარალებულთა სასარგებლოდ გადასდო 5000 მან.

**სახელოსნო ცენტრმა**, მსახიობთა კავშირის წინადადებით, გადასწყვიტა თბილისში მოაწყოს „გორის დღე:“ შეაგროვებენ ყულაბებით ფულს და სხვა შემოწირულებას.

**რკინისგზელთა კავშირმა** ერთი დღის ნამუშავარი გადასდო გორის მაზრაში დაზარალებულთა სასარგებლოდ, რაიც დაახლოებით მილიონ-ნახევარს შეადგენს.

**რკ.-გზის კულტურულ-განმან. კომისიამ** დაადგინა საქართველოში რკინის გზათა მთელ ხაზზე გაიმართოს საღამოები გორის მაზრაში მიწისძვრისგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

**მომავალ შაბათს** მუშტაიდის კლუბში იმართება საღამო საკონცერტო განყოფილებით მიწისძვრით დაზარალებულთა სასარგებლოდ.

**მიწის-ძვრისგან დაზირალებულთა** დამხმარე მთავარმა ბიურომ დაადგინა: შესდგეს საგანგებო ტეხნიკური კომისია ქ. გორის ევროპიულ გემოზე ასაშენებლად.

**ვისაც სურს** მიწის ძვრით დაზარალებულთა სასარგებლოდ ფული მოაგროვოს, უნდა მიმართოს ვას. ხახანაშვილს ქალაქის თვითმართველობაში სათანადო წიგნაკის და მანდატის მისაღებად. ფულის მოგროვებას და ნივთების შეკრებას სათავეში უდგია საგანგებო ბიურო, რომელსაც წარედგინება რესპუბლიკის ყველა კომისიის ნამოქმედარის ანგარიშები.

**სახელმწიფო თეატრის** კომისარმა ალ. წუწუნავამ მთელი თავისი საბენეფისო შემოსავალი გადასდო დაზარალებულთა სასარგებლოთ.

**ქართველ საოპერო მსახიობის** ბარიტონ ელიოზიშვილის დებიუტმა ოპერა „აიდაში“ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა საზოგადოებაზე.



შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი.

**მსახიობ გ. იმხნელის** ბავშვების ალსაზრდელ ფონდის გასაძლიერებლად მსახიობთა კავშირმა გადასდო 10000 მან.

**მიხ. ქორელი** თბილისის პროფესიონალურმა საბჭომ მიიწვია თბილისის მუშათა კლუბების ხელმძღვანელ ინსტრუქტორად.

**დუშეთში** სცენის მოყვარეთა წრემ განაახლა მოქმედება. ხელმძღვანელობს მიხ. ხერხეულიძე. მუდმივ სამუშაოდ მოწვეულია მსახიობქალი მარ. ქილარჯიშვილი. უკვე გაიმართა სამი წარმოდგენა.

**ჩუღურეთში** 1 კომერციულ სასწავლებელში სათეატრო სცენის მოწყობას შეუდგენ.

**ახალი გამოცემანი** მივიღეთ 1) სიტყვიერების თეორია, კირიონ ქათალიკოზისა და გრ. ყიფშიძის მიერ შედგენილი, გამოცემა 3. ფ. 25 მან.; 2) „თებერვალი", ფურცლები № I. ფ. 20 მან.

**დრამ. საზ.-ის პრეზიდიუმი** აირჩა: თავმჯდომარე ივ. გომართელი, მისი ამხანაგები მარ. რამიშვილისა და ი. აბაკელია, ხაზინადარი — სოლ. ახვლედიანი, მდივანი — აკ. ფალავა.

**კომპოზიტორი დ. არაყიშვილი** ბაქოს გაემგზავრა ეროვნულ კონცერტების გასამართავად. კაპელას ლოტბარობას დროებით ასრულებს არაყიშვილის თანაშემწე მუსიკოსი დანოვსკი.

**კ. ფოცხვერაშვილი** აპირებს სახელმწიფო კაპელას დაარსებას

**ქართულ კონსერვატორიასთან** დაარსდა ქართული საბალეტო კურსები.

**დაპატიმრებული** ლოტბარ-მუსიკოსი სტოლერმანი ავად შეიქნა და წევს სატუსაღოს საავადმყოფოში. მისს [illegible]ქმეს მალე გაარჩევს საგანგებო სასამართლო. სტოლერმანს იცავენ: შ. ალექსი—მესხიშვილი, ვ. ემუხვარი და სხ.

**ფოთის** დრამატიულ წრის თაოსნობით სადღეისოდ ფოთში ადგილობრივ მოწინავე საზოგადოების კრება გაიმართება ფოთის დრამატიული საზოგადოების დასაარსებლად.

**მომავალ სეზონისათვის** მთავრობის ინიციატივით შე[illegible] ქართ. დრამ. დასი, საცა შევლენ, როგორც და[illegible]ბულნი, აგრეთვე ახალგაზდა მსახიობნიც. სისტე[illegible] წარმოდგენები გაიმართება არტისტიულ საზო[illegible]ბაში.

# პარნასი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ი ს ნ ა წ ყ ვ ე ტ ი


| | |
|---|---|
| **ი. მჱდლიშვილი** | იის თვალება |
| **არჩილ მაჭავარიანი** | უმანკო მსხვერპლი |
| **ჰერკულეს ყანჩელი** | სამშობლოს!.. |
| **ლენა პარნასელი** | განშორებული სული |
| **კ. რატიშვილი** | თებერვალში |
| **ლ. ძიძიგური** | აქ სად მოხველ?!? |
| **ს. რუშაველი** | კუბოსთან |
| **აქილესი** | ბუდუარში |
| Chale Romle | ძვლის ფლეიტა |
| **შალვა მეფანდური** | თეთრ ღღეში |
| **შალვა გომართელი** | სიყვარ. მსხვერპლი |
| **კ. გერგესელი** | სილუეტები |
| **დ. ა.** | ოსკარ უაილდი |
| **გ. ი.** | შემოქმედებ. მძივები |
| **მ. თოიძე** | ყდა |


**№ 1**

რედაქტორი **შალვა მეფანდური**


**პ ი რ ვ ე ლ ხ ა რ ი ს ხ ო ვ ა ნ ი  რ ე ს ტ ო რ ა ნ ი**

# შამპანი!

**ამხ—ბა ძმათა კერესელიძეების და ბაქრაძეთა**

(რუსთაველის პრ. სახლი გორელაშვილის № 16)

**ერთი საუკეთესო რესტორანთაგანი დემოკრატიის სასტუმროდ.**

საუზმე და სადილი ქართლური, იმერული, ევროპიული, აზიური მზადდება საუკეთესო მზარეულის თავდგომით, სასმელები ყოველნაირი. რესტორანში უკრავს სიმებიანი ორკესტრი.

(წლიური)


რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი.**